საქართველოს მთავრობის

დადგენილება №474

2017 წლის 27 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – „საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №443 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – „საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №443 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/01/2014, 300160070.10.003.017643) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის – საქართველოში პესტიციდების და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების:

1. მე-8 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) ტორფი და ტორფიანი სასუქი რეგისტრირდება განაცხადის (დანართი №10^1) შემოწმების საფუძველზე.“.

2. მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. ტორფისა და ტორფიანი სასუქის რეგისტრაციაზე განაცხადი უნდა შეიცავდეს კონკრეტულ ცნობებს აგროქიმიკატზე (დანართი №10^1) და თანდართულ დოკუმენტაციას.“.

3. დანართ №10-ის შემდეგ დაემატოს დანართი №10^1 და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

„დანართი №10^1

1. განაცხადი აგროქიმიკატის რეგისტრაციაზე:

ა) რეგისტრანტი (დასახელება, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი);

ბ) მწარმოებელი (დასახელება, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი);

გ) სავაჭრო დასახელება;

დ) აგროქიმიკატის დანიშნულება;

ე) გამოყენების რეკომენდაცია – დოზა, შეტანის წესი, ვადები, ჯერადობა.

2. აგროქიმიკატის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები:

ა) მოქმედი ნივთიერება, პროცენტული შემცველობა;

ბ) აგროქიმიკატის ფორმა (გრანულა, კრისტალი, ფხვნილი, თხევადი);

გ) PH;

დ) ვარგისიანობის ვადა;

ე) აგროქიმიკატის შეფუთვა, წონა.

3. განაცხადზე თანდართული დოკუმენტაცია:

ა) რეგისტრანტის განცხადება აგროქიმიკატის რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

ბ) რეგისტრანტის წერილობითი უფლებამოსილება, იყოს მწარმოებლის წარმომადგენელი;

გ) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი;

დ) ეტიკეტი;

ე) ხარისხის ან ანალიზის სერტიფიკატი;

ვ) აგროქიმიკატში მძიმე ლითონების შემცველობა;

ზ) მწარმოებლის საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი (იმპორტირებულის შემთხვევაში – სერტიფიკატი, ლიცენზია ან სხვა, ადგილობრივი წარმოების შემთხვევაში – ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან).“.